ქ. ბათუმი 11.11. 2021

ბრძანება № 24-7/22

ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იურიდიულ კლინიკაში სასწავლო პრაქტიკის/სტაჟირების გავლის მიზნით სტუდენტთა ჩარიცხვის მიზნით კონკურსის გამოცხადებისა და ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ '' საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 3 ნაწილის ,,ე" პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 22 მუხლის მე-4 ნაწილის ,,ე" პუნქტის, იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, იურიდიული კლინიკის კოორდინატორის ნარგიზ ცეცხლაძის მოხსენებითი ბარათის (10.11.2021) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტების იურიდიულ კლინიკაში სასწავლო პრაქტიკის/სტაჟირებაზე მიღების მიზნით.
2. იურიდიულ კლინიკაში სასწავლო პრაქტიკის/სტაჟირების მიზნით ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 15 ადგილით.
3. საკონკურსო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: ნარგიზ ცეცხლაძე - კომისიის თავმჯდომარე, იოსებ შოთაძე - კომისიის წევრი, ანა მდინარაძე - კომისიის წევრი;
4. კონკურსანტთა შეფასება განხორციელდეს ინდივიდუალური თემატური გასაუბრების სახით.
5. კონკურსი (კონკურსანტებთან გასაუბრება) ჩატარდეს 2021 წლის 20 ნოემბერს 15:00 საათზე, № 517 აუდიტორიაშ.
6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები განისაზღვროს 2021 წლის 15 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისში (კაბ.№ 513) *დანართი 1*-ის შესაბამისად.
7. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 22 ნოემბრისა.
8. კონკურსის ჩატარების და კომისიის მუშაობის კოორდინაცია დაევალოს დეკანის მოადგილეს თამთა ვარშანიძეს.
9. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით, გამოქვეყნებულ იქნეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე და დაეგზავნოს ფაკულტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

დეკანი, ასოც. პროფესორი ლევან ჯაყელი

დანართი № 1

კონკურსანტის განცხადების ფორმა

იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ბატონ ლევან ჯაყელს

.

.....

(საგანმანათლებლო პროგრამა, კურსი)

.....

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

განცხადება

მსურს მონაწილეობა მივიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში.

განცხადებას თან ერთვის C V (ხელმოწერით დამოწმებული)

ხელმოწერა:.....

თარიღი:.....

საკონტაქტო ინფორმაცია (ფაქტობრივი და რეგისტრაციის მისამართი)
.....

ტელეფონი: ----------

ელ.ფოსტა: ----------